ინფორმაცი აინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.თბილისი **13 აგვისტო 2018 წელი**

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ "საქართველოს კანონისმე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2018 წლის 13 აგვისტო №847/06 ხელშეკრულებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით რეაქტივების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტსშ პს „ფარმატექ"-თან

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:
/ნ.ოვსიანიკოვა/

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი:
/ი.საღარეიშვილი/

თსუიურიდიულიდეპარტამენტისუფროსი:
/ა.კუკულავა/

თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი:
/ს. სანაძე/

თსუშესყიდვებისგანყოფილებისსპეციალისტი:
/ა.ჭეიშვილი/

სახელმწიფოშესყიდვებისშესახებხელშეკრულება N847/06

ქ. თბილისი 13 აგვისტო 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, შპს „ფარმატექი" წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა ნაროუშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), შესყიდვების კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის თანახმად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო ხელშეკრულების #STCU-2017-24 დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად ლაბორატორიული ექსპერიმენტული სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით რეაქტივების (**24300000** - ძირითად იარაორგანული და ორგანული ქიმიკატები) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

№	საქონელის დასახელება	ზომის ერთეული	ერთულის ფასი ლარში	რ/ბა	თანხა
1	Zinc Oxide Nanoparticles / Nanopowder (ZnO, 99+%, 35-45 nm) Order:25g	შეკვრა	255.00	1	255.00
2	Zinc Oxide ZnO Nanoparticles / ZnO Nanopowder (ZnO, High Purity 99.95%, 18nm) Order:25g	შეკვრა	360.00	1	360.00
3	Zinc Oxide Nanopowder / Nanoparticles (ZnO, 99.9+%, 80-200 nm) Order:25g	შეკვრა	240.00	1	240.00
5	Titanium dioxide nanopowder, P25 grade	შეკვრა	460.00	1	460.00
			სულ ჯამი		1315.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ***1,315.00*** (ათასსამასთხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი მ.ნადარეიშვილი.

4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი საქონლის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემსყიდველი განახორციელებს: შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების და/ან გამარტივებული დეკლარაციის, ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს ერთიანად შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. #1.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღე.

6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებშიცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

7.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, სახაზინო ანგარიშიდან, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში.

7.3 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, სახაზინო ანგარიშიდან, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. პირგასამტეხლოხელშეკრულებისპირობებისშეუსრულებლობისათვის

8.1თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0.02% ოდენობით.

8.2იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს„მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ვალდებულების შესრულებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4. თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა და დააკისროს მას საურავი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %.

8.5.იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, „მიმწოდებელი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვერ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.გარანტია და საგარანტიო მომსახურების პირობები

12.1 მოწოდებულ საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს ვარგისიანობის ვადა არანაკლებ 2 თვე.
საქონლის ინსპექტირების პერიოდში, ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხაჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში შეაკეთოს ან შეცვალოს საქონელი ახლით;

12.2 ექსპლუატაციის პროცესში, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, მექანიკური დაზიანების გარდა, წარმოქმნილი ხარვეზების არსებობის შემთვევაში, შემსყიდველი წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ „მიმწოდებელს". „მიმწოდებელი" მისი წარმომადგენლის მიერ საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) შეტყობინებიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა ახდენს რეაგირებას.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 იანვრამდე. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა იმნაკისრი ვალდებულებეის ამოწურვამდე, რომლის შესრულებისთვის დადგენილია განსხვავებული ვადები.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი:ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ.
№1
რეკვიზიტები:
სახაზინო სამსახური

გრანტი #STCU-2017-24

3204050102
საიდენტიფიკაციო კოდი:
204864548

მიმწოდებელი

შპს „ფარმატექი"

მისამართი : ჩაჩავას #5

საბანკო რეკვიზიტები:
სს ,, თიბისი ბანკი"
ანგ. ნომერი
№:GE85TB76749360201000 01
ბანკის კოდი:TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:

401951544

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

/ნ.ოვსიანიკოვა/

დირექტორი:

/ მ.ნაროუშვილი/